F296ო/13686

F

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი მე-3

ტელეფონი № 76.

კვირა, 22 იანვარი, 1917 წ.

სამშობლო

ფასი 7 კ.

გაზეთის ფასი:
წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 8 მანეთი, თვიურათ 1 მანეთი და 50 კაპეიკი. ცალკე ნომერი 7 კაპიკი. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 5 მ., 5 მ მარტის გასულს დ 5 მ. 1 ივლ.

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 25 კ., უკანასკნელზე 15 კ. სხვა ადგილებიდან [illegible] გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით [illegible] 30 კაპ., უკან 20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითო ჯერ არა უმეტეს სამისა გამომცემლისა ხაზეულდევის 2 საათ. ღირს 5 მან. 2 საათს ზემოდ 6 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., ან. მიქელაძის სახლებში

№ 535 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 535

[illegible]

დაიწყო ჩვენს გაზეთზე ხელის მოწერა 1917 წლისათვის

გაზეთის ფასი: ერთის წლით 15 მან. ნახევარი წლით 8 მან. ერთის თვით 1 50 კაპ., **ცალკე ნომერი 7 კ.**

თვიური ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველიდან. წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ შემოიტანონ ნაწილნაწილათაც: პირველათ 5 მან. ხელის მოწერისათანავე. მეორეთ 5 მან. მარტის გასულს და 5 მანეთიც ივნისის გასულს.

რედაქციის კონტორა ღიაა დილის 8 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 8 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 8 საათიდან 11 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქუჩა, სახლი მიქელაძისა.
დეპეშისათვის: ქუთაისი „სამშობლო“.

რედაქტორი — **ი. თ ცინცაძე.**
გამომცემელი **ამხანაგობა „სამშობლო“.**

ღრმათ დამწუხრებულნი შვილები: კონსტანტინე ბესარიონის ძე, ალექსანდრა და მარიამ ბესარიონის ასულნი, სიძეები ლაზარე სართანია და პიმენ ნემსაძე შვილებითურთ, ცოლისძმა კონსტანტინე გლახუას ძე კახიანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რა გარდაცვალებას პირველის ძვირფასი მამისა, მეორე და მესამის სიმამრისა და მეოთხის სიძის

ბესარიონ სპირიდონის ძე ჩაჩიბაიას

გარდაცვალებას, პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე. დაკრძალვა კვირას 22 იანვარს დღით 2 საათზე. რუხანის ქუჩა საკუთარი სახლი.

ღრმათ დამწუხრებულნი შვილები: მღვდელნი მეთოდე, დომენტი, ექიმი ევსევი გიორგის ძე ლოსაბერიძენი და ტერეზია გიორგის ასული ჩიხლაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ საყვარელი მამის

მღვდლის გიორგი იოანეს ძის ლოსაბერიძის

გარდაცვალებას, რაიცა მოხდა 16 იანვარს. პანაშვიდი ყოველ დღე შუადღისას. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 24 იანვარს **სოფ. საქურჩეში.** 1 1

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

პარასკევიდან, 20 იანვრიდან:

ქალის ცხოვრება

კინო პიესა ოთხ ნაწილად.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 19 იანვრიდან:
პარიზის ზოოლოგიური ბაღი

მე-8 სერია

ვამპირები.

კინო რომანი 4 ნაწილად საუკეთესო მსახიობთა მიერ.

განცხადება.

ახლად დაარსებული სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საურთიერთო ნდობის საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტი აუწყებს სსენებულ საზოგადოების ბ.ბ. წევრთ, რომ საზოგადოების წევრთა პირველი

საზოგადო კრება

დანიშნულია ამა წლის 29 იანვარს, დილის 10 საათზე მაგი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში. იმ შემთხვევაში თუ ეს კრება არ შესდგა, წესდების მე-35 მუხლის თანახმად მეორე კრება მოხდება მიმდინარე წლის 12 თებერვალს.

განსახილველია: 1, საკითხები საზოგადოების გახსნასთან დაკავშირებული; 2, მიმდინარე 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვა; 3, მოსამსახურე პირთა არჩევა.

ახალ წევრთა მიღება გრძელდება. 4—1

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილით 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 4-8 თ

ექიმმა ალექსანდრე მაქსიმის ძე ასათიანმა განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავადმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე ჭუჭუნისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ

ექიმი ი. **ჩარკვიანი** ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი, იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

ექიმი ა. დ. **მამაგარიანი** (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცის გუდაურის [illegible] სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე. დადიანის ქ. სახლი ჩიჩინაძის (წერეთლის კუთხეული)

ოდესის საბებიო კურსებ დამთავრებული
ბებია ს. ს. **ნემსაძისა** უვლის ავადმყოფებს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა-დარიგებას. მისამართი: ოლდენბურგის ქუჩა, გიგოლაშვილის სახლები, ფოსტის მახლობლად.

ბებია მ. მ. **კაკხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი
მარიამ ტ. გალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით, ვსწმენდ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ხალებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ვკურნავ ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქატერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქატერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლი № 17.

გამოცდილი სტუდენტი ამზადებს

მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი სამეცნიერო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იყვანს პირობით მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო“ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ. ტელეფონი № 183.

ს.-მ. ბ. მიწის მზომელი ვ. ს. ასათიანი
ადგენს მამულების პლანებს, აწვდის მიწის შეძენის მსურველებს უტყუარ ცნობებს ქართლ-კახეთ აფხაზეთის ნაყოფიერ და იაფ ადგილ მამულთა შესახებ, მემამულეთა დავალებით ტიხრავს მამულებს ნაწილ-ნაწილად გასაყიდათ. მისამართი: ქუთაისში „ჩვ. მ.“ და „სამშ.“ რედაქციაში პროვიზ კახიანის აფთიაქის მაღაზია, ქალ. თეატრის პირდაპირ. ჭიათურაში კი შავი ქვის მრეწველ ალ. ხაბეიშვილთან.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

კომერციულ ცოდნათა

კურსები

ტ. მ. ფილოსიანისა

ორივე სქესისთვის

(თფილისში, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976).

თხოვნის მიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვარს პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების დასი.

ქალაქის თეატრი წარმ. № 40

ბენეფისი ა. იმედაშვილისა
კვირა, 22 იანვარი, 1917 წ.

შესრულდება:

ოტელო

ტრ. 5 მოქმედებათ თარგმ. ივ. მაჩაბელისა.

მონაწილენი: ქ-ნი ბეჟანიშვილი ს., მდივანი მ.
ბ-ნი გელოვანი მ., გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ., ჩარკვიანი გ.

რეჟისორი — ა. იმედაშვილი. რეჟისორის თანაშემწე — ა. გუგუშვილი.
მორიგე წევრნი გამგეობისა — მ. ლორთქიფანიძისა და ა. ფადავა.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივი.
ადმინისტრაცია დრამატიული საზოგადოების გამგეობისა.

ყურადღება.

თუ გსურთ მიიღოთ
საუკეთესო ფოტოგრაფიული სურათები
უსათუოდ შედით პირველ ხარისხოვან ფოტოგრაფიაში

„ხელოვნება“-ში,

რომელიც გაიხსნა ამ 1917 წ. 1 იანვრიდან ქუთაისში ქარვასლის ქუჩა, ვ. გრიკუროვის სახლში, კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ, მესამე სართულში, შესავალი ვარანცოვისა და ქარვასლის ქუჩებიდან. ფოტოგრაფია ღებულობს ყოველგვარ საფოტოგრაფიო სამუშაოს:

ფოტოგრავიურები მიუნხენის ფოტოგრაფიის სკოლისებური. **პორტრეტები**, ფაიფურზე. **გადიდება პორტრეტებისა**, რა ზომისაც საჭიროა.

ფასები ძლიერ მცირეა. მოსწავლეებს და სალდათებს დაეთმობათ 20% არსებულ ფასზე.

დაკვეთილი საქმე სრულდება **საჩქაროთ და კეთილსინდისიერად**, რაშიც გთხოვთ დარწმუნდეთ. სურათებს იღებს რუსეთის სასახლის ფოტოგრაფიის თანამშრომელი ფოტოგრაფი **ს. ლარიბაშვილი.**

გამოვიდა და იყიდება მშვენიერი
ქართული კედლის კალენდარი
კ. **ოცხელის** წიგნის მაღაზიის მიერ გამოცემული ქუთაისში
ფასი 4 აბაზი.

ომის დღიური.

აღმოსავლეთის ასპარეზი. კალნცემის შარა გზის ახლო რუსებმა წინად დაკარგული სანგრები დაიბრუნეს. იაკობენის აღმოსავლეთით რუსებმა მოწინააღმდეგის იერიშები მოიგერიეს.

დასავლეთის ასპარეზი. უმეტეს ნაწილად საარტილერიო ბრძოლაა გაჩაღებული.

კავკასიის ასპარეზი. მდგომარეობა უცვლელია.

იტალიის ასპარეზი. მოწინავე რაზმებს შეტაკება უხდებათ.

რუმინეთის ასპარეზი. მოწინავე რაზმების მოქმედებაა.

მსოფლიო ომი.

(პეტ. დეპ. სააგ.).

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 19 იანვარი. კალნცემის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა კონტრ იერიშზე გადავიდა და მედგარი ბრძოლის შემდეგ მტერი ჩვენი სანგრებიდან განდევნა. ამის შემდეგ სიწყნარე ჩამოვარდა. კალცემის შარა გზის გასწვრივ რომ გერმანელებმა ადგილები დაიპყრეს, მტრისაგან სრულიად გავანთავისუფლეთ. დიდ ყინვებში, გერმანელთა მიერ გამოშვებულ მოშხამულ გაზებში გახვეულმა ჩვენმა ჯარმა ისევ დაიპყრო თავისი სანგრები. ილლიუქსტის ჩრდილო დასავლეთით 20 ვერსის მანძილზე ჩვენმა მფრინავებმა ბევერკში ყუმბარები ჩამოყარეს, ჩვენი ერთი მფრინავი მტრისას შეებრძოლა და აიძულა რომ დაბლა დაშვებულიყო მოწინააღმდეგის მიწაწყალზე ილუქსტის ჩრდილო დასავლეთით 10 ვერსტის მანძილზე მოსტავის ჩრდილო აღმოსავლეთით 20 ვერ. მანძილზე ს. ტეპლონიაბს გერმანელთა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს.

პეტროგრადი. 20 იანვარი. ბრზეჟანის სამხრეთ დასავლეთით 20 ვერსტის სიშორეზე ს. სლავენტინის დასავლეთით ძლიერი საარტილერიო სროლის შემდეგ თეთრხალათებში გამოწყობილი გერმანელთა რაზმი ჩვენი პირველი წყების სანგრებში შემოიჭრა, მარჯვენა ჯარის კონტრ-იერიშით და არტილერიის დახმარებით მტერი თავის სანგრებშივე ჩავაბრუნეთ.

რუმინეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 19 იანვარი. კიმპოლუნგის სამხრეთ დასავლეთით, სოფ. იაკობენიდან აღმოსავლეთისაკენ 2 ვერსტის მანძილზე 18 იანვრის ღამეს მტერმა ჩვენ ჯარს თავს დაესხა, მაგრამ დიდად დახარალებული უკუ ვაქციეთ. სოფ. იაკობენის აღმოსავლეთით 17 იანვრის ბრძოლის დროს, ჩვენ ჯარს დაუტყვევებია: 11 ოფიცერი, 1000 ზე მეტი ჯარის კაცი, ხელთ უგდია 10 ტყვიისმფრქვეველი, 1 ნაღმი და 1 ყუმბარის მტყორცნელი.

პეტროგრადი. 20 იანვარი. სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

კავკასიის ასპარეზი.

პეტროგრადი. 19 იანვარი. მთელ ასპარეზზე თოვლი და ქარ-ბუქი გრძელდება.

პეტროგრადი. 20 იანვარი. არსებითი არა მომხდარა რა.

შავი ზღვა.

პეტროგრადი 19 იანვარი. ანატოლიის სანაპიროებთან ჩვენმა გემებმა ხუთი შხუნა შეიპყრეს და წამოიყვანეს; სამი მათგანი მატორიანია.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 19 იანვარი. შუადღის ოფიციალი. რამდენიმე ადგილას, განსაკუთრებით კი რეიმსის აღმოსავლეთით [illegible] ალტირხის ჩრდილოეთით მოდარაჯე რაზმების შეტაკებანია. დანარჩენ ასპარეზზე ღამემ წყნარად ჩაიარა. მფრინავთა მოქმედება. პოდპრაპორშჩიკმა მადონმა მეხუთე საფრენი ჩამოაგდო. 18 იანვრის კიურეისა და ვუანნის სადგურზე და სიწყობებში და აგრეთვე ნოლის აღმოსავლეთის ბანაკში, ერთმა ჩვენმა მებრძოლმა საფრენმა მენუელის კეზში და ესლში, სომმაზე 50 ყუმბარა ჩამოაგდეს.

პარიზი. 18 იანვარი. საღამოს ოფიციალი. დღის განმავლობაში საკმაოდ მკაცრი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა სხვა და სხვა ალაგას, განსაკუთრებით გულმანის აღმოსავლეთით და მაასის მარჯვენა ნაპირზე.

ჰავრი. 18 იანვარი. ბელგეთის ოფიციალი. პერვიზის აღმოსავლეთით და ნორდოხოტის სამხრეთით გერმანელებმა მკაცრად დაგვიშინეს ზარბაზნები და სცდილობდნენ უკან დავეხია, მაგრამ ზარბაზნებისა და ტყვიისმფრქვეველების სროლით მტერი განვდევნეთ. დღის განმავ- [illegible] მიმართულებით დიდი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა.

ჰავრი. 19 იანვარი. ბელგეთის ოფიციალი. ენერგიულად მომქმედ-გერმანელთა მოდარაჯე რაზმები სროლით განვდევნეთ. გეტხასისა, და დიქსმიუდეს მიდამოებში გერმანელები მხნედ ისროდნენ ზარბაზნებს. რამსკაპელლეს, პერვიზესა და ნორდსკოტის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა.

ლონდონი. 19 იანვარი. ბრიტანეთის ოფიციალი. ჩვენს ახალ ბრძოლის ხაზზე, ლანტენელუას სამხრეთით უკანასკნელ დღე-ღამის განმავლობაში დავატყვევეთ 25 კაცი, ამათში 1 ოფიცერია, დღეს დილით ვოკურას მიდამოებში გერმანელებმა ჩვენი რამდენიმე წინ წაწეულ სადარაჯოების ხელში ჩაგდება სცადეს, მაგრამ მტერი უკუ ვაქციეთ და რამდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ. მარვალის ახლო მახლო გერმანელთა არტილერია მხნედ მოქმედებდა. გუშინ ჩვენმა არტილერიამ რამდენიმე მძიმე დანიშნულება შეასრულა, ნევილსენვაასტის ჩრდილო და იპრის აღმოსავლეთით. აღმოსავლეთით გერმანელთა სანგრებს ყუმბარები დაუშინა.

პარიზი. 19 იანვარი. საღამოს ოფიციალი. ვეილერსკოპფის მიდამოებში და მატცრელის აღმოსავლეთით გაცხოველებული საარტილერიო ბრძოლა მოხდა. დანარჩენ ასპარეზზე არსებითი არაფერი მომხდარა.

იტალიის ასპარეზი.

რომი. 19 იანვარი. იტალიის ასპარეზი. ტრენტინოს ბრძოლის პირზე და კარნიაში დრო გამოშვებით ზარბაზნების სროლა სწარმოებდა: კამონიკას ღელეს შესავალში, გარდას ტბის მთიან ადგილებში ზემო ადიჯეზე, პალპოკოლოში და ცელინ-კოფელში.

გუშინ იულის ალპებზე მოწინააღმდეგის არტილერია მძლავრად მოქმედებდა, კარსოზე ჩვენი ზარბაზნები ძლიერი სროლით უპასუხებდნენ მოწინააღმდეგეს და მტრის ზურგით მოძრავ ჯარში არევ დარევა გამოიწვია. ამ ბრძოლის პირებზე 28 გრადუსის ყინვებია ცელსიით.

ჟურნალ გაზეთებიდან.

რადგანაც საბერძნეთი უკვე შეუდგა მოკავშირე სახელმწიფოებისადმი თავის დაპირებათა შესრულებას, დღე-დღეზე მოელიან გარემოცვის მოხსნას.

— რიგის ასპარეზზე გერმანელები თავგამოდებით განაგრძობენ თავის პოზიციების დაცვას; ამისათვის არ ზოგავენ ზარბაზნების ტყვიებს. ასე მაგალითად ამ დღეებში ერთ მცირე პუნქტს $4^{1}/_{2}$ საათის განმავლობაში 4000 ყუმბარა ესროლეს.

— გერმანელთა მცირე სამხედრო გემი მოულოდნელად ღამე მიახლოვებია ინგლისის გამაგრებულ ნავთსადგურს სუფფოლკს და ყუმბარები დაუშენია. სანაპიროს მცველებმა დროზედ შენიშნეს ეს და მალე განდევნეს გემი. ზარალი მცირე ყოფილა.

— ინგლისის მთავრობის განკარგულებით ჩრდილოეთის ზღვის სამხრეთი ნაწილი ნაღმებით გაუვსიათ.

— საბერძნეთის სანაპიროების გარემოცვას დიდი უბედურება გამოუწვევია მთელ სახელმწიფოში. ხალხი თურმე შიმშილით იხოცება. მიუხედავად ამისა, ამტკიცებენ გავლენიანი პირები, როგორც მოხსნიან მოკავშირეები გარემოცვას, საბერძნეთი თავის წინანდებურ ორმაგ პოლიტიკას ისევ აწარმოებსო

— გერმანელთა მფრინავები კვლავინდებურად თავს ესხმიან დუნაის ნაპირებს და ქალაქებს ყუმბარებს უშენენ. ამ დღეებში ერთ ბულგარელ საფრენს გალაცში ყუმბარები ჩამოუყრია, ერთი ამათგანი საელექტრონო სადგურს მოხვედრია, რასაც სადგურის აფეთქება გამოუწვევია. ეხლა მთელი ქალაქი ამიტომ ღამღამობით სიბნელითაა ხოლმე მოცული.

— პირველ იანვრიდან გერმანელთა წყალქვეშებს ნორვეგიის 12 გემი ჩაუძირავთ.

— ხმები იმის შესახებ, ვითომ გერმა- [illegible] ლევვას აპირებდეს, შესწყდა. ნეიტრალ ქვეყნების გაზეთები ამბობენ; გერმანელები განზრახ ავრცელებდნენ ამ ხმებს, რომ თავისი ნამდვილი გეგმა დაეფარათო.

ქუთაისი, 22 იანვარი.

საოცარი უწესოებანი. მეოცე საუკუნეში ვცხოვრობთ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ელემენტარული წესრიგის საჭიროება, დროა რომ შევიგნოთ ამის მნიშვნელობა სამწუხაროდ, ჩვენ საზოგადოებას ჯერ კიდევ ვერ შეუთვისებია და მას საოცარი უწესოება აქვს გამეფებული შინ თუ გარეთ, საჯარო კრებაზე თუ თავის ოჯახში

მაგრამ რაც ხდება ჩვენ კურთხეულ ქალაქის ქუჩებში, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. აქ თქვენ ვერ ჰპოულობთ წესრიგის ნატამალს, თითქოს ქალაქში კულტურული ხალხი კი არ ბინადრობდეს, არამედ აფრიკის ველურები, რომელთაც არავითარი წარმოდგენა არ აქვთ წესრიგისა და მშვიდობიანობაზე.

საზოგადოებრივი ზნე ჩვეულებისა, რიგიანობისა და მყუდროების დარაჯი, უპირველეს ყოვლისა თვით საზოგადოება უნდა იყოს თავის უფრო შეგნებულ და გონიერი ნაწილის შემწეობით. სამწუხაროდ ჩვენ საზოგადოებას არ მოეპოება ასეთი შემკავებელი ძალები ყველა ისე იქცევა როგორც მას მოეხასიათება და თუ ეს ვინმესთვის საწყენი, საზარალო და შემაწუხებელია, ამას ანგარიშს ვინ უწევს? სხვის გულისთვის თავისუფლებას და სურვილებს ჩვენში აბა ვინ შეიზღუდავს თავისუფლება ხომ ჩვენ თავისებურად გვესმის. მთვრალების ქუჩაში უხეში თარეში საძრახისად სრულიადაც არ არის მიჩნეული. რევოლვერების სროლა და ხმლების ტრიალიც უმანკო გასართობად არის მიჩნეული, განსაკუთრებით, თუ მას ადამიანის მსხვერპლი არ მოჰყვა. თეატრში ყვირილ კივილს, ზევიდან ქუდების და ჯოხების გადმოყრასა, ქუჩაში ჯიკავს და მუჯლუგუნებს ყველა მიეჩვია. თითქოს ასეც უნდა იყოს.

კიდევ უარესია ქუჩაში მოძრაობის წესი. ვერ მოგვიხერხებია მეეტლების დავალდებულება, რომ ეტლები ქუჩაში ერთმანეთს მარჯვენით შეუარონ. ჩვენი ქალაქი თუმცა პატარა და მცხოვრებლებითაც არ არის მრავალ-რიცხოვანი, მაგრამ ზოგიერთს ქუჩაში საკმაო ცოცხალი მოძრაობაა და ასეთი მარტივი წესრიგის დამყარება ზედმეტი არ უნდა იყოს.

მაგრამ ყველაზე მეტს „რეფორმებს" მოითხოვს ხალხის მოძრაობისა წესრიგი ბულვარის კიდეზე და განსაკუთრებით, კაფეების წინ. აქ საღამოობით ქვაფენილზე აუარებელი ხალხი იყრის თავს. ქვაფენილები ისე აივსება, რომ იქ გასვლა ადვილი საქმე არ არის. დახანს მოგიხდებათ ჯიკავ ჯიკავით გზის გაკაფვა და ხშირად ასეთი თქვენი თავგანწირულება უნაყოფოდ ჩაივლის, მრავალჯერ შემოგატრიალებენ და ძველს ადგილსაც დაგაბრუნებენ. ამის ასაცდენად უნდა მისცეთ თავი ტალახიან ქუჩას, რომ ქუთაისის საზოგადოების მიერ დაკავებულ პოზიციებს შორიდან შემოუაროთ.

ხალხი კი დგას ქვაფენილებზე, ხშირად უძრავად, თითქოს ტაძარში იყვეს და არა მტვერიან ქუჩაში. ჯიკავ ჯიკავს, მუჯლუგუნებს, ყვირილს და სიმღერას დასასრული მაშინ დაუდგება, როდესაც ხალხი ფეხზე დგომით დაიღლება და იქით აქეთ მირიგდება. ყველაზედ უფრო სამწუხარო ის არის, რომ ამ საოცარ ქუჩის ღრიანცელში მოსწავლე ახალგაზრდობა ღებულობს მონაწილეობას და თუ ამათ ვერ გაუთვალწინებიათ ასეთი სურათის ზნეობრივი სიმდაბლე, საკვირველია, რომ მათი მასწავლებელნი და ხელმძღვანელები ამის შესახებ არავითარ ზომებს არ ღებულობენ

უწესოება ქუთაისის ცხოვრებაში დამკვიდრდა და ფესვი გაიდგა. საზოგადოებამ ამას ანგარიში უნდა გაუწიოს და ამის წინააღმდეგ უნდა ღონე იღონოს. ადმინისტრაციისა და მთავრობისათვის კი ქალაქის ქუჩებში წესრიგისათვის თვალყურის დევნება და, როდესაც ის ასე საოცრად ირღვევა, ამის შესახებ შესაფერი ზომების მიღება, უპირველეს მოვალეობას და საზრუნავ საგანს უნდა შეადგენდეს.

საქართველო და ლიბერალური რუსეთი.

ყოველი სუსტი და უფლება აყრილი ერი სხვისი იმედით ცხოვრობს: თავის აწმყო და მომავალ კეთილდღეობას უცხო ძალის მფარველობაზე ამყარებს; საკუთარ ძალ-ღონეს მოკლებული, სხვისი მონა—მორჩილი და ბრძანებელთა- [illegible]

წინათ როცა ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთნოდა და ყველაფერს სხვის დაუკითხავათ ვაკეთებდით, ვითარცა სრულ-უფლებიანი, ეროვნული პიროვნება, მრავალი, ერისა და პიროვნების ამამაღლებელ და დამამშვენებელ ღირსებებით ვიყავით დაჯილდოებული.

ამ ნეტარხსენებულ დროს ჩვენი ეხლანდელი ბატონები და დაუპატიჟებელი სტუმრებიც ანგარიშს გვიწევდნენ, თავს გვევლებოდენ და ჩვენს წყენას და ჩვენგან სამდურავის გაგონებას მეტათ ერიდებოდენ.

მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო ჩვენმა დაუძლურებამ და სიბეჩავემ ბოლოს მოუღო ჩვენს ზვიად და ქედ—მაღალ ეროვნულ ხელმწიფებას; ულმობელი ბედის ტრიალის გამო სხვის უღელ-ქვეშ მოვხვდით; ამის შემდეგ თანდათან დავკარგეთ საუკუნოებით შეძენილი და შეთვისებული მაღალი ეროვნული თვისებანი, მეტათ დავკანინდით და დავქვეითდით; პოეტის თქმის არ იყოს; „რაც ვყოფილვართ ის აღარ ვართ, რაც ვართ ის ნუღარ ვიქნებითო". საკუთარი თავის ღირსებისა და პატივის ცემის შეგნების უნარიც-კი წაგვერთვა..

მიუხედავად ამისა ქართველობა ადვილათ არ ესალმება საუკუნებით ნაწრთობ და მკაფიოთ შემუშავებულ ეროვნულ თვითარსებობის იდეას. მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ქართველი ერის შეგნებული ნაწილი იბრძვის თავის ეროვნული სახის შენარჩუნებისათვის. წარსულ საუკუნეში ამ ბრძოლას ქონდა წმინდა კულტურული ხასიათი: მაშინდელი ქართველი მოღვაწენი თხოულობდენ უმთავრესათ ქართული სარწმუნოების, ქართული ენის, აწმყო და წარსული ცხოვრების პატივისცემას და სხვა. ამ ბოლო დროს კი წამოყენებულ იქნენ ეროვნულ—პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნილებანი, ურომლისოთ ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა დარღვეულ ეროვნული ცხოვრების გამობრუნება.

ხოლო ამ პოლიტიკური იდეალის, განხორციელების საკითხი მჭიდროთ იქნა დაკავშირებული რუსეთის დემოკრატიის საერთო სოციალ-პოლიტიკურ მოთხოვნილებასთან, რადგან ჩვენი ქვეყნის ეროვნული უფლებების დამცველნი ღრმათ იყვნენ დარწმუნებული, რომ პოლიტიკურათ განახლებულ რუსეთის ხალხი, დემოკრატია, არ დაიშურებს ქართველებისათვის წართმეულ ისტორიულ უფლებების აღდგენას.

სამწუხაროთ დღევანდელი რუსეთის სინამდვილე სულ სხვა რამეს გვეუბნება. ერთად—ერთი ძლიერი ლიბერალური პარტია, რომელიც გამოდის რუსეთის სახელმწიფოებრივი ცხოვრების განახლების დროშით და სურს არსებულ სახელმწიფოებრივი ცხოვრების შეცვლა და დემოკრატიული მართვა-გამგეობის შემოღება, არის კადეტთა პარტია მილიუკოვის მეთაურობით როგორც ვიცით მის დემოკრატიულ პროგრამაში სრულიათ არ შედის რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოსახლე ჩაგრულ ხალხთა ეროვნული სწრაფვის დაკმაყოფილება. ეს გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე იმდენათ ძუნწი გამოდგა, რომ ვერც მტრის მიერ ძალით წართმეულ პოლონეთისთვის იმეტებს ავტონომიურ მართვა-გამგეობის მინიჭებას.

მაშასადამე ქართველობა, და არც სხვა რომელიმე უფლება-აყრილი ერი, არაფერს არ უნდა გამოელოდეს რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული მოძრაობისაგან. მარქსი ამბობდა, მუშათა ხალხის სოციალური განთავისუფლება თვით მუშებისვე საქმე არისო. ჩვენც ვიტყვით რომ ყოველ დამოკიდებულ ერთვნების განთავისუფლება მონობის უღლიდან, ამ ერთვნების საკუთარი ძალ-ღონის მეოხებით უნდა მოხდეს, თვარა არც რუსეთის დემოკრატია და არც, მით უფრო, რუსეთის საზოგადოების დანარჩენი ნაწილი, ყურსაც არ ათხოვებს ჩვენს კანონიერ და სამართლიან ეროვნულ მოთხოვნილებას.

ა. თორაძე.

კავკასიის მართვა-გამგეობა.

კავკასია დიდი ქვეყანაა. სივრცით ბავარიის სამეფოზე ხუთჯერ მეტია და მცხოვრებთა რაოდენობითაც ამ სამეფოზე ორჯერ უფრო მრავალრიცხოვანი.

ბუნებისა, მცხოვრებთა და მოთხოვნილებათა სხვა და სხვაობით მას ბადალი არ ჰყავს მთელს რუსეთში. მისი მართვა სრულიად არ არის ისეთი ადვილი, როგორც იმპერიის სხვა რომელიმე კუთხის. რუსეთი თითქმის ყველგან ერთფეროვან ველს წარმოადგენს, ხალხის ერთგვარი შემად- [illegible]

სულითა და ურთ-ერთ შორის დამოკიდ
ბულებითა.
რიაზანის გუბ[illegible] გამოსადეგი ად
მინისტრატორი, [illegible]
სარატოვის გუბერნიის მართვა გამგეობ
შიც გამოდგება; ერთი ალაგიდან მეორ
ში—განწესებით იგი სრულიადაც არ
რძნობს თავს უცხოდ, ახალს ალაგას
არ დასჭირდება ცხოვრების ხანგრძლი
შესწავლა. საკვირველია: რუსეთს იოა
მესამიდან აქვს დამოკიდებულება კავკა
ასთან, მთელი ერთი საუკუნე მფლობ
ლობს მას და ბევრად უფრო გვიან შე
ძენ თურქესტანს უფრო კარგად იცნობ
ვიდრე კავკასიას. ხშირად ასწერდენ ხოლ
მე კავკასიას პოეტები, მოგზაურები
მეცნიერები, მაგრამ მათს შრომას ყოვე
თვის შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა.
თოდიური, ყოველმხრივი გამოკვლევა
ვკასიისა, თუ გნებავთ ისეთი, როგორ
შუა აზიისთვის შეიმუშავა კაუფმანმა,
კავკასიას არასოდეს არ ღირსებია. რას
ვირველია, ამის შემდეგ ამ კუთხის წეს
ერ მართვა-გამგეობაზე ლაპარაკი მეტ
უკანასკნელი ოფიციალი ცნობით კა
კასიაში 13,229,000 მცხოვრები ითვლე
ამათში ყველაზე მეტია მუსულმანებ
რომელთა რიცხვი 3,746,697 აღწევ
შემდეგ რუსები, სომხები,—1,756,3
და ქართველები,—1,624,118. დანარ
ნი მცხოვრებლები შესდგებიან სხვადას
ეროვნებისაგან, რომელთა სახელი
ლეგიონია. მცხოვრებნი წარმოადგენ
მთლიან სოციალ ერთეულებს: თითო
ული მათგანი განიყოფება რამოდენ
ჯგუფად. რუსები, მაგალითად განიყოფ
ბიან მართლმადიდებლებად და სექტანტ
ბად,—მუსულმანები,—სუნიტებად და შ
იტებად,—სომხები, — გრიგორიანებად,
თოლიკებად, ლიტერანელებად,—ქარ
ველები,—მუსულმანებად და მართლ- ქრ
სტიანებად და სხვა. შეიძლება ითქ
რომ კავკასია მთელი მუზეუმია, არა
ტო მთა გრეხილების, არამედ რასებ
სარწმუნოებების, ენათა და აგრეთვე
ქათა. აქ ერთი მეორის გვერდით სცხო
რობს ორმოცი ეროვნება, ამდენივე
წმუნოების აღმსარებელ. ხალხთა
სახლების დროიდან და აზიელ
შემოსევიდან, რომლებმაც კავკასი
მოლახეს, მის გამოქვაბულებში დ
შესამჩნევი კვალი, რომელსაც დღემ
არ ალხოცია პირვანდელი სახე. ხოლო
კვალის დამჩნევი ხალხის ნასახიც არ
სებობს ეხლა ქვეყნად.
და ეს ფრიად საყურადღებო მხა
მსხვერპლი ძალთა „საუწყებო [illegible]
ქიშპობისა, დღემდის წესიერ მართვა-გ
გეობას არ იცნობს. იმპერატორ ნიკ
ლოზ 1-მა, დიდი ხნის დაკვირების შე
დეგ, 1845 წ. საჭიროდ დაინახა კავკას
ის წმიდა ავტონომიურ სამეფისნაცვლო
მოწესრიგება. გრაფი მ. ს. ვორონცოვ
აღჭურვილ—იქნა განუსაზღვრელი უფ
ლებებით, მასვე ებოძა მფარველობა
დამხმარე დაწესებულება: სატახტო ქ
ლაქში გაიხსნა კავკასიის კომიტეტი, მ
ნისტრთა საბჭოს უფლებით, ხოლო თბი
ლისში მთავარი განყოფილება სამეფ
ნაცვლო მართვა-გამგეობისა, რომელ
დეპარტამენტის სახელწოდებით რამოდ
ნიმე ნაწილად იყოფოდა. სამეფისნაცვლ
ჰქონდა საკუთარი ბიუჯეტი და საკმ
საშუალება.
ყველასათვის ცნობილია, თუ რა შედ
გი მოყვა ყოველივე ამას. თ-დ ვორონ
ცოვმა რვა თვის განმავლობაში ისე მო
ყო კავკასიის საქმე, რომ მან საკუთარ
ძალ-ღონით გაუძლვა 1853 წ. და 18
წლ. ომიანობას. ბარიათინსკიმ კი 6 წლ
განმავლობაში გამარჯვებით დააგვირგვ
ნახევარი საუკუნის განმავლობაში წარმ
ებული დაღესტანის ბრძოლა. ხოლო დ
დმა მთავარმა მიხეილ ნიკოლაევიჩმა და
ვლეთი კავკასია დაიმორჩილა და თავ
სამეფის-ნაცვლოში ალექსანდრე მეორ
რეფორმები შემოიღო. ოცი წლის
საქმიანი შეჰქონდა კავკასიის ნორმალ
კალაპოტში ჩასაყენებლად: დამშვიდ
კავკასიისა, გლეხთა განთავისუფლებ
სასამართლოს რეფორმა, რკინის-გზების
ყვანა და სხვა მრავალი ასეთი რეფორ
მხოლოდ ამ ხნის განმავლობაში განხო
ციელდა. მანამდის და მას შემდეგ თით
მის არაფერი არ გაკეთებულა.
პირველ მეფის-მოადგილეთა შრომ
ასეთი ნაყოფიერება აიხსნება, რა თქ
უნდა, არა მარტო მათი უფლების სისრ
ლით და დაწესებულებათა მიზან-შეწ
ნილებით, არამედ უმთავრესად იმით, რო
ადგილობრივი ძალღონე, სადი პოლიტ
კით ხმარდებოდა სახელმწიფოს კეთილ
დღეობას ვიდრე ომი იყ გარეთ და შ
გნით, სამეფისნაცვლოს წარმატებას ხელ
ვერავინ უშლიდა. მაგრამ უკანასკნელ
ბედნიერად დამთავრებული 1881 წ. ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხტო ქალაქში სხვარიგი შეხედულებამ იჩინა თავი, და „კავკასიის ავტონომიურ" მართვა-გამგეობის მოსპობა საჭიროდ იქნა მიჩნეული. სამეფის ნაცვლის მაგიერად დაწესებულ იქნა მართველობის თანამდებობა. კავკასიის კომიტეტი გაუქმებული იქნა, მთავარი განყოფილება მეფის-ნაცვლის მთავარ-მართებლის კანცელარიად შეიცვალა და სატახტო სამინისტროები თავის მხრივ შეუდგენ კავკასიის მართვა-გამგეობას, თავთავის „უწყებათა" სფეროებში. მთავარ მართებლობა თვისი კანცელარიით დაექვემდებარა მათ.

პირველ მეფის-ნაცვლებსაც ძლიერ ახასიათებდათ თან დაყოლილი ცოდვები რუსეთის ბიუროკრატიისა. მათ გვარიანად მოაწყვეს თავიანთი ცენტრალური კანცელარიები, მაგრამ ადგილობრივი დაწესებულებები, ხოლო საგუბერნიო და სამაზრო უწყებები მეტად მოუწყობელი იყო. მათი შტატები მეტად შეამცირეს საგუბერნიო უწყებას არ გააჩნდა ისეთი ორგანო, რომელსაც დამოუკიდებლად საქმის წარმოება შეეძლებოდა. ვიდრე თბილისში არსებობდა მთავარი სამმართველო,— ეს ნაკლი კიდევ არ სჩანდა. მაგრამ, როდესაც 1883 წ. იგი უღონო მთავარ მართველობის კანცელარიით შეიცვალა, რომელსაც მხოლოდ გადამცემი ფუნქციები ებადა, მხარემ ერთბაშად უპატრონობა იგრძნო. იგი დაემორჩილა სატახტო დეპარტამენტებს, რომელთაც ადგილობრივი მოთხოვნილების იმდენი ესმოდა, რამდენიც მე და თქვენ ფაშა ნუის კუნძულის ამბავი ვიცით.

გარეგნულად მხოლოდ აჩრდილი დარჩა წინანდელი მდგომარეობის; მთავარ მართებლის დამსჯელი უფლება ერთობ გაღრმავდა. აღმოსავლეთი, რომელიც ამგვარი პოზით უნდა შეეშინებიათ, არ მოტყუვდა. მან მალე შეიგნო, რომ კავკასიამ დაკარგა ცხოველმყოფელი მმართველობა რომ იგი მივდებულ იქნა ალალ ბედზე, დრო მიდიოდა, მოუწესრიგებელი ქვეყნის მოთხოვნილება თანდათან იზრდებოდა. ამ მდგომარეობას არავინ უწევდა ანგარიშს. ქვეყანა ხედავდა მხოლოდ, რომ „დონდუკოვი პირდება,—კორსაკოვი კი უარს ამბობს", მხარე სრულს მარაზმში ჩაეფლო. ბოლოს ვითომ შეიგნეს თავიანთი უღონობა და ხელახალი რეორგანიზაციის საკითხი დაისვა. 1905 წ. ისევ აღდგენილ იქმნა სამეფისნაცვლო გრაფი ი. ვარანცოვ-დაშკოვის მეთაურობით.

სამწუხაროდ, ხელმეორედ აღდგენა სამეფის-ნაცვლო თანამდებობისა ვერ შეიქნა კავკასიის ავტონომიურ აღდგენად. თანახმად რუსეთის სანაპირო ცხოვრების განვითარებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნილების გართულებისა, მოსალოდნელი იყო, რომ 1905 წელს განახლებული სამეფის-ნაცვლოს წინანდელს ავტონომიურ უფლებებს ახალსაც მოუმატებდენ და ამით წარმატების გზაზე დააყენებდენ მხარეს, მაგრამ ახალი მეფის მოადგილე, არამც თუ მოკლებული იყო ადგილობრივი ხალხის წარმომადგენლობის თანამშრომლობას, არამედ თვით თავის უფლებებშიც დიდად შეზღუდული იყო. გრაფი ვარანცოვ-დაშკოვი მთელს თავის მართველობის განმავლობაში ქვეყნის მმართველი კი არ იყო, არამედ მისი ოპოზიციის მეთაური ცენტრალურ მთავრობის წინაშე. აქ იწერება არა ისტორია კავკასიის მართველობისა, არამედ დახასიათება მისი. შეადარეთ ერთიმეორეს რუსეთის იმპერიის კანონდებულების კრებულებში საკანონმდებლო მუშაობა ძველი და ახალი სამეფისნაცვლოსა, თქვენ გაოცდებით ერთის სიუხვით და მეორეს სიღატაკით. რა თქმა უნდა, ადამიანები კი არა თვით წეს-რიგი და დაწესებულებათა სისტემაა ამაში დამნაშავე. გრაფ ვარანცოვმა ათი წლის განმავლობაში თავის კანცელარიის შტატებიც ვერ გაიყვანა ცენტრალურ დაწესებულებებში და რასაკვირველია მან ვერ შესძლო სახსრის გამოძებნა ისეთი საჭიროებებისათვის, ურომლისოდ ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაუძლებს არსებობისთვის ბრძოლას. ერთი ვერსტი გზა—ტყეცილი, ერთი ვერსტი ლიანდაგი ვერ ეღირსა მის დროს კავკასიას. მხოლოდ ეხლანდელმა ომმა გამოიწვია, ეხლანდელ მეფის-ნაცვლის მმართველობის დროს, ცხოველი ზრუნვა, როგორც ქვეყნისთვის უაღრესად საჭირო შენებლობაზე, ისე მისი საერობო დაწესებულებებით მორთვის შესახებ.

ნ. ნიკოლაძე.

გერმანელთა ახალი ნოტა.

სტოკჰოლმი, 19 იანვარი. ბერლინიდან იტყობინებიან, ამერიკის ელჩისთვის გადაუციათ გერმანეთის ნოტა, რომლის დასაწყისშიაც გერმანელები აღნიშნავენ რომ ისინი განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრნენ ვილსონის განცხადებას სენატში, რადგანაც ისინი გრძნობენ, იმ შედეგებს რომელნიც მოყვება იმას თუ რანაირად შეხვდებიან ნოტაში აღძრულ საკითხებს. ამასთანავე გერმანეთი აღნიშნავს; ჩვენ დიდ კმაყოფილებას ვგრძნობთ, რომ ამერიკის ფრიად საყურადღებო პოლიტიკურ განცხადების პრინციპები გერმანეთის პრინციპებს სავსებით ეთანხმება. პირველ რიგში უნდა ვცნოთ ყველა ეროვნების თავისუფალ თვით გამორკვევის უფლება. გერმანელები გულწრფელი სიხარულით შეხვდებოდნენ ამ იდეის თუ რომ დღეიდან პოლიტიკურ თავისუფლებით გაბედნიერდება ისეთი ერი, როგორიც არის მაგალითად ირლანდია.

გერმანელები წინააღმდეგნი არიან ყოველივე კავშირების სახელმწიფოთა შორის, რომლებიც სახელმწიფოებს მსოფლიო ბატონობაზე აქეზებს და ეგოისტურ ინტრიგების ხლართებში ჰხვევს მათ. გერმანეთის მთავრობა თავდებობას იძლევა, რომ გერმანელები მზათ არიან საერთო მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ სხვებთან ერთად, რომ მომავალში ომი თავიდან აიცდინოს კაცობრიობამ, ზღვების თავისუფლება და ყველა ერების ვაჭრობისათვის ღია კარებების იდეა ყოველთვის ხელმძღვანელ პრინციპებს შეადგენდა გერმანეთის საგარეო პოლიტიკისას. მით უმეტეს სამწუხაროა, რომ გერმანეთის მთავრობა მოწინააღმდეგე სახელმწიფოებში ზავისადმი მტრულ განწყობილებას ხედავს, რაც შეუძლებლად ხდის მაღალ იდეების განხორციელებას გერმანეთი და მისი მოკავშირენი მზად იყვნენ ეხლავე დაეწყოთ მოლაპარაკება ზავის ჩამოსაგდებათ და უკვე გამოაცხადეს თავისი პირობები.—ყველა ეროვნებათა თავისუფალი განვითარების თავდებობა და განაცხადეს, რომ არავითარი სურვილი მოწინააღმდეგეთა განადგურებისა მათ არ ჰქონიათ და ნეიტრალ ქვეყნების აზრით ჩვენი პირობები სხვა ეროვნებათა უფლებებს არ უარყოფს.

კატო მიქელაძის ლექციის გამო.

„ზოგისა გამბაც ჩხრიალობს, ზოგის კაკალიც არაო", ეს ნათქვამი სწორეთ კატო მიქელაძის ლექციებზეა ზედგამოჭრილი, რომელნიც, თუმცა ბევრად უფრო შინაარსიანი და საინტერესო არიან, ვიდრე ზოგიერთი ლექტორის მაზხალისებური ბრახაბრუხის გარეშემცველი სიტყვები, მაგრამ საზოგადოების ჯეროვან ყურადღებას მაინც ვერ ეღირსენ.

აი გუშინდელი ლექციის დედააზრი. დედაკაცის უუფლებობა და მამაკაცის ბატონობა—ძოოლოგიური, ცხოველური მძლავრობისა და გულისთქმის შედეგია. ხანგრძლივმა ისტორიულმა სოციალურმა განვითარებამ დედაკაცი მონობისაგან კიდევ ვერ განათავისუფლა, მხოლოდ ჩრდილო ამერიკაში გაუთანასწორდა ის მამაკაცს სოციალური მდგომარეობით, ხსენებული ფედერაციის ზოგიერთს შტატში და ავსტრალიასა და ახალზელანდიაში კი—პოლიტიკური უფლებებითაც. დედაკაცებმა თავის სოციალ-პოლიტიკურ უფლებათა მოპოებისათვის თვითონვე უნდა იბრძოლონ, მხოლოდ თავისი თავის იმედი უნდა ჰქონდესთ; უამისოდ მამაკაცების ვერც ერთი ჯგუფი, ანუ პარტია, თუნდა სოციალისტური, ქალთა საკითხს ვერ გადასწყვეტს. კერძოდ თვითეულმა დედაკაცმა კარგად უნდა შეიგნოს, რომ ის—მამაკაცის სქესობრივი გულისთქმის კმასაყოფელ იარაღს არ წარმოადგენს და ავხორცობა, ლირწება, გარყვნილება, რომელიც ადამიანის გონებას ჩრდილავს, აბნევს,—ქალის თავისუფლების და ადამიანური ადამიანობის უდიდესი მტერია. დასასრულ, უფლებრივი თანასწორობისათვის მებრძოლი ქალები მონოგამიას, ე. ი. ერთცოლობასა და ერთქმრობას, აღიარებენ იმ პირობით კი, რომ ეს შეერთება თავისუფალ სიყვარულს უნდა ემყარებოდეს. ისინი ცხოვრობენ, როგორც მეუღლენი, თავის ქმრებთან და, როგორც დედები, თავის შვილებთან, სხვა მამაკაცებს კი ისე უყურებენ, როგორც მეგობრებსა, და უარჰყოფენ, მაშასადამე, ალვირახსნილს სქესობრივ ლირწებასა და გარყვნილებას. რაც შეეხება ქართველ ქალებს, სწორუფლებიანობისათვის ბრძოლა მათთვის კიდევ უფრო საჭიროა, ვიდრე რომელისამე გაბატონებული ერის დედაკაცებისათვის. ბოლოს ის სოცარი მიმართულება, რომლის იდეოლოგადაც გრიგოლ რობაქიძე გამოდის და განმსახიერებლებად გრიშაშვილი, იგივე გრ. რობაქიძე და „ცისფერი ყანწების" სხვა თანამშრომელნი, როგორც ავხორცობის, ლირწების, თაყვანისმცემელი, ქართველ ქალთა სწორუფლებიანობის უდიდეს მტრად უნდა იქნეს აღსაარებული.

მკითხველი დამემოწმება, რომ ყველა, ვისაც ჩვენი ერის ზნეობრივი და გონებრივი წარმატება სურს, ხელს მოაწერს ამ დებულებათ. ჩვენი მხრით კი მხოლოდ შემდეგს დავუმატებთ. სქესობრივი სიყვარული ადამიანის ერთად-ერთი მიზანი კი არ არის და ცხოვრებას მთლად კი ვერ ამოსწურავს, არამედ ცხოვრების მხოლოდ ერთერთი ნაწილია და, რამდენადაც უფრო მოკლებულია ავხორცობისა და ლირწების გულისმთქმელობას და უახლოვდება უმანკო მეგობრობას, მით უფრო განმაკეთილშობილებელია. მეორე მხრით, სქესობრივი სიყვარული სხვას, უმაღლეს ზნეობრივ დასაწყისებს უნდა ემორჩილებოდეს: მეგობრობას, ახალთაობისადმი ზრუნვას, ოჯახის და საზოგადოების კეთილდღეობისათვის თავდადებულ შრომასა და სხ. დიაღ! ყველაფერი ეს სქესობრივი სიყვარულის გულისთქმაზე უზენაესი და უმაღლესია და, ლექტორი ქალის თქმა, ქალები, რომელნიც თავის მოვალეობას ოჯახისა და საზოგადოების წინაშე კეთილსინიდისიერად ასრულებენ, ბევრ ქალწულებადაც რომ დარჩნენ, ისეთსავე ზნეობრივს ღირებულებას წარმოადგენენ, როგორც დედები, და ეს სრულიადაც არ ესაძრახისებათ, მამაკაცების ლირწი დაცინვა კი მათთვის ანგარიშში ჩასაგდებელი არ არის, სრული ჭეშმარიტებაა.

დიაღ, ქალბატონებო! ნუ აყვებით სახორცობას, ერიდეთ ლირწებრივ ცხოვრებასა და მიზნად—კეთილშობილი სიყვარული, მეგობრობა და შრომა დაისახეთ, აჯობეთ მამაკაცებს ზნეობრივ ღირებულებათა დაფასებაში და იყავით უმანკონი, ფხიზელნი, მხნე და გამრჯელნი. შეაერთეთ გონებრივი და ფიზიკური შრომა, რომელიც ავხორცობის გულისთქმას აქარწყლებს, იყავით მოქმედნი და არა ლირწნი! ნუ მეტყველებენ თქვენი სახენ ლირწებრივ გულისთქმას, არამედ მხოლოდ შრომის-მოყვარეობას, ფხიზელ აზროვნობას, კეთილშობილებას! იყავით უპირველესად ადამიანები!

სასურველია, რომ პატივცემული ლექტორი თავის ლექციას კვლავ წაიკითხავდეს, რადგან საჭიროა, მისი აზრები, რაც შეიძლება, მეტმა აუდიტორიამ მოისმინოს. რამდენი დაჰკარგეს იმ ქალიშვილებმა, რომელნიც ლექციას არ დაესწრნენ?!

ვასილ ფირითელი.

ნაწყვეტები.

I

ხორცი ხორცთა, სისხლი სისხლთა,
ძვალი ძვალთა შენთაგანი—
შენით ვხარობ, შენ მანათებ,
ვით ცისკარი მზეთაგანი.

ვით ირემს გოლვისა ჟამს
წყაროს წყალთა მიმართ ჰსურის,
ეგრეთ, ტკბილო, სულს ჩემსა
მხურვალებით შენსკენ სწყურის.

საზეკაცო, სამამაცო
რაინდ ძალის მშობელი ხარ,
მგოსანთა და მეტრიბთაგან
ტკბილად საგალობელი ხარ!

თვით წყვდიადშა მოლივლივე,
მამომავენი ნათელ-სხივის,
ძალთა მმატი ანდამატი
შენგან კიდე არვინ მავის!

გულ-მკერდი რომ მოგიქარგავს
ბორცვ-გორდებით, ველ-მინდვრებით...
ჩემს დედიკოს ქვეყანაზე
სხვა რომელი შეედრებით!..

II

ქედ-მაღალნი, მეანგარი თხემნი
მას დარაჯათ დასდგომიან,
მათი ძეძუს მონაკადნი
მასსავ წიაღს ჩასწვდომიან.

ცით მნათობნი, შემამკობნი,
მომღიმარეთ დასცქერიან
და ზეფირნი ნაზას რხევით
უცხო ნანას დამღერიან!

ნაძვთა რტონი, სანატრონი,
შეხებაზე გრძნობით თრთიან
და იანი მრავალფერნი
საზენათ ქებათ-ქება
აქ გუნდრუკათ აღავლენს
და მაღლიდან ეკლესიება
მადლი ლოცვის და კურთხევის...

ზამთარ-ზაფხულ ჰყვავის იგი,
ვით სამოთხე, ვით ედემი!..
აქ ვეძლევი ნეტარებას
და აქ ლაღობს სული ჩემი!.

III

ცის ასული—მოციქული—
აქ ხომ ვაზის ჯვარსა თხზავდა,
დიდებული მეფე-ქალი
მას დიდების გვირგვინს წნავდა!..

წინაპარი მომავლისთვის
უკვდავების ძეგლებს ქმნიდა,—
თვის არსებას დაადნობდა
და [illegible] ჩამოჰქნიდა!

აქ შავთელი, აქ ჩახრუხა,
აქ რუსთველი მუსიკობდა:
ერთი ქველას, ქველა იმ ერთს
ადიდებდა, შეამკობდა!..

მან წარმოშვა ეს მნათობნი,
მანვე გული აუძგერა
და სულიც უმაღლესი
მან ჩუქნა, მან შთაბერა!..

მეკრძალვის და მერიდება
მეც მის [illegible] თავსა ვუკლდე—
კნინი ვარმე, უმცირესი
საქვეყნოთ და კიდით-კიდე!..

IV

ყვავილნარში კაიდონს
ბედი ჰქონდა გამართული,
დასტრფოდა და ეკლებოდა
მას მგოსანთა მოციქული.

მოზღვაურე ჩიტუნები
იზრდებოდნენ თვალის წინა,
მაგრამ იქვე, მათ მახლობლათ,
ქვეწარმავალს ჰქონდა ბინა!..

ტკბილმა ჰანგმა ის ბორტო
ბუდისაკენ წაიტყუა,
ყვავილნარის სურნელებამ
დაათრო და გააბრუა...

მოიკლაკნა, მოიკლაკნა
საზარელი სანახავი,—
ტანით გარს შემოერტყა
და ბუდეში ჩაჭყო თავი.

მოიშხამა ყვავილნარი,
მოუწამლა დედას გული
და სიზმრათ-და ელანდება
მას სამოთხე დაკარგული!..

V

ბევრგვარია საშვალება
შეძენის და გამდიდრების,
მაგრამ ხვთის ქვეყანაზე
ვერავერი შეედრების!..

თვალი არის უბრალო რამ,
გრძნეულება კი აქვს დიდი:
ბედს უმზერს—და შეიძენ,
ოდნავ თუ კი სულს მიჰქიდა!..

მერე ოქრო ოქროებზე
გადმოცვივა თავის ნებით,—
იცხოვრე და ინეტარე
განცხრომით და მოსვენებით!..

მეკრძალვის და მერიდება,
მადლსა ვუგავ ნინოს ჯვრისას,
ვით შევკადრო რჩეულთ დედას,
რუსთველის და თამარისას,

რომ სამალე სულიერი
დიადი, დიადი
და ის განძი სანდერძი
ბევრმა ხვთის ანაცვალა!..

VI

ცბიერება, მზაკვრება
„სიბრძნისა ერთი დარგი,—
სიტყვა ტკბილად გასაგონი
და მოქმედისთვის დიდად მარგი".

ენა ლიქნით მოლესილი,
ჩამომჟავნი ქვეყნის ცისა,
ორპირობის შემანქნე,
სამკაული სიცრუისა—

იმას ქმნის, სად მოჭხვდება
საბილწო და საძაგლო,
არ დაგიდევს, თუ გინდ იყოს
ის ჯვარცმული თვით იესო!..

ქრთამს რომ აბამს დედაზარდლი,
ავაზაკი მოდარაჯე,
თუ სხვა ძალი ვეღარ ვპოვე,
ჰე, უფალო, თვით შენ სჯე!

რომ შენც მაშინ, ძალითა-ძალით,
გადმოგეგდე ქებათა-ქებით
და რადგა მსურს, სწრაფათ ვიქმნე,
არ თუ იგავ-არაკებით!..

დ. თომაშვილი.

ახალი ამბავი.

◆ დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეს, ხუთშაბათს 26 იანვარს და პარასკევს 27 იანვარს, ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება გამართავს ქალაქის თეატრში ბ-ნ კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით ქართული ეროვნული მუსიკისა და ცეკვათამაშის დიდ საღამოს, შემდეგის პროგრამით: შესავალი სიტყვა, სამუსიკო სურათი, აჭარული სიმღერები, გურული ხორო, თარი, ფანდური, ჩანგური, სტვირი და სხვა. მთელი ერთი განყოფილება შესდგება ქართული ეროვნული ცეკვა თამაშისაგან. ამ განყოფილებაში სხვათა შორის შესრულებული იქნება საგანგებოდ მოწვეულ პირთაგან: ცალფა ცეკვა, წყვილი, როკვა, სამაია, სვანური, ლაზური, ფერხულები და სხვ. მონაწილეობას მიიღებს საგანგებოდ მოწვეული გურული ხორო, მრავალ-რიცხოვანი ქალ ვაჟთა გუნდი კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით და სხვანი. დასასრულ შესრულდება პირველად ქუთაისის სცენაზე დავლითა და ჰიმონით ძველი ქართული ცეკვა ხორუმი.

ბილეთები პირველი დღისათვის ათი მანეთიდგან ათ შაურამდე და მეორისათვის სამი მანეთიდგან ექვს შაურამდე. ამ თავითვე იყიდება ოცხელისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

◆ დღეს, 22—23 და 24 იანვარს ქუთაისის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ახლათ მოწვეული დაფნის და მანდარინის მოვლა მოშენების მცოდნე სპეციალისტი გააცნობს ხალხს დაფნის მოვლა მოშენების გაუმჯობესებული სისტემით და უჩვენებს პრაქტიკულათაც. იქვე იყიდება დაფნის თესლი 1 გ. 1 მ. 50 კ. ბალახვანის ქუჩა ქალაქის მოედანთან, ბოლოლის სანერგე ბაღში.

დილის 10—12 ს. საღამოს 2—5 ს. შესვლა უფასოა.

◆ ხუთშაბათს, 26 იანვარს ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ქალაქის თეატრში მართავს საღამოს, რომელზედაც წარმოდგენილი იქნება ძველი ქართული ეროვნული მუსიკის და ცეკვა თამაშის ნიმუშები. საღამოზე განსაკუთრებულ მონაწილეობას ღებულობს ბ. კოტე ფოცხვერაშვილი. დაწვრილებით პროგრამას შემდეგ ნომერში მოვათავსებთ. საღამო განმეორდება მეორე დღეს პარასკევს.

◆ 22 იანვარს დღით კვირას, ნაშუადღევის ორ საათზე ს. ტყიბულში დანიშნულია ტყიბულის მომხმარებელ საზოგადოება „ცხოვრება"-ს წევრთა საზოგადო კრება. განსახილველია წარსული წლის ანგარიში და სხვა საკითხები.

◆ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობა მოუწოდებს ამ ჟამათ ქუთაისში მყოფ სტუდენტებს, რომ გამგეობისაგან დანიშნულ საღამოზე, რომელიც გაიმართება 2 თებერვალს, დაეხმარონ და ხელი შეუწყონ საღამოს გამართვაში. მსურველნი უნდა გამოცხადდენ ექიმ ხეჩინოვის ბინაზე—საღამოს ხუთ საათიდან—ყოველ დღე.

◆ დასავლეთ საქართველოს მთავრობის აგრონომმა ა. მ. ვასილევსკიმ სამიწათმოქმედო მინისტრის რწმუნებულიდან მიიღო სწრაფი მოწერილობა, რომ ნება დართულია, ვიდრე 1917 წლის 15 თებერვლამდის, გავზავნ-გამოგზავნა საბოსტნო და საბაღო თესლისა ყოველ მისამართით და ყოველი გამგზავნელისათვის. იმ პირთათვის ვისაც თესლის გამოწერა სურს, ეს ძლიერ ხელსაყრელია, რადგან ამის მიხედვით თესლები შეიძლება გამოწერილ იქნას შედარებით უფრო იაფათ და სწრაფად.

◆ მგოსან ბოლმონტს დაუმთავრებია „ვეფხვის ტყაოსნის" თარგმნა, რომლის გამოცემაც აუღია საბაშნიკოვის საგამომცემლო ფირმას.

◆ 19 იანვარს სამხედრო სასამართლომ გაარჩია იმ პატრულების საქმე, რომელთაც პრაპორშჩიკ პეტინაძის მოკვლა ბრალდებოდათ. სასამართლომ ოთხს (სომხებია) ჩამოღრჩობა გადაუწყვიტა, ხოლო ორს ერთ რუსსა და, ქართველს ოც-ოცი წლის კატორღა.

◆ ოზურგეთის მაზრის ქ. შ. წ. გამავრცელ

ლობს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე რათა მას ნება დართოს სოფ. კაკუტში გახსნან უფასო წიგნთსაცავ სამკითხველო რომლის პასუხის მგებელი იქნება ს. კაკუთის მღვდელი სამსონ ი. შაკიშვილი

◆ სოფ. ბოხვაურის (ოზურგ. მაზრა) მცხოვრებნი შუამდგომლობენ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე რათა მათ ნება მიეცესთ გახსნან მონხ. საზოგადოება „დახმარება“

◆ ბ. ია ეკალაძეს ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო გამოსცეს ქუთაისში მხატვრული ლიტერატურული ჟურნალი „ია“

◆ 20 იანვარს ქუთაისში 4 ალაგს ქონდა, სხვა და სხვა ქუჩებში ჩხუბს ადგილი. სა ზოგადოთ მუშტი კრივი ძლიერ გახშირდა. უმთავრესი მონაწილენი სამწუხაროთ მოწაფეებია...

◆ ქალაქი კვლავ შავი პურით იკვებება, ხალხი მანანასავით მოელის თეთრ პურს, მაგრამ არსად სჩანს. ცნობები თეთრი პური მოვიდაო არ მართლდება.

პატარა წერილები.

XIX

მოძრაობის შემდეგ, ქართველი სამღვდელოება, წარსული წლის მიწურულში, ხელახლა გამოცოცხლდა, ძალა და ღონე მოიკრიბა და მედგრად მოითხოვა ჩვენი ეკლესიის უფლებების აღდგენა. მართალია ეს მეორე შედგარი ნაბიჯი, მარცხით დამთავრდა, მაგრამ იმჟამ არ არის, სიმართლე თავისას გაიტანს. უბედურება მხოლოდ ის არის, რომ ჩვენი სამღვდელოება მშიშარაა, ერთი ფეხის დაბრაგუნება საკმაოა მათთვის, რომ აქეთ-იქით გაიფანტოს.

ამ დღეებში, ქუთაისური ქართული გაზეთების რედაქციებს ქანმდარმერიის განეთფაღების თფაცერი ეწვია და „სამშობლოს“ და „ჩვენი მეგობრის“ ის ნომრები მოითხოვა, რომლებშიც იმერეთის ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ წერილები იყო მოთავსებული. ბ. თფაცერი გულ მოდგინეთ კითხულობდა იმ მღვდლების სახელსა და გვარს, რომლებიც სამღვდელოების წარმომადგენლებისაგან გაგზავნილი იქმნენ მეფის ნაცვალთან. ჩვენ არ ვიცით ვის და რისთვის ჭირდება აღნიშნული მღვდლების სახელი და გვარი, მაგრამ იმერეთის სამღვდელოების დეპუტაციის წევრ მღვდლების მოქცევა და სხარტი „მონვერა“ ჩვენთვის რომ ეურიდლების ღირსია ეს კი არც იმათ გამოპარვია და ალბათ ამისათვის დაეძებენ მათ. ქართველ სამღვდელოებას ეხლა მართებს სიფხიზლე და თავის რჩეულ მოძმეთა დახმარება თუ არ უნდათ, რომ სამუდამოთ ჩაკლან ავტოკეფალიის საკითხი,

და ვინ გამოიხსნის მას თუ არა ქართველი სამღვდელოება. მაგრამ ზოგიერთი ჩვენი ს მღვდლოების მეთაურნი ჯერ კიდევ სდუმან და ეს სამწუხაროა. ხომ ვიცით, რომ წუნელის კანას ერთად ვერავინ ვერაფერი დააკლო და ცალ ცალკე კი ადვილი დასამტვრევი გახდა. ასევე მოგვივა ჩვენც მაშასადამე, რატომ ჩვენ მაგრ შეკრულ კონაში არ უნდათ მოაქცნენ ზოგიერთი ეპარქიის სამღვდელოება, რომელთა ხმა ამ საგანზე ჯერ არ გვსმენია. გავიხსენდეთ

მ. ქუთათელი.

ქრონიკა.

(ჟურნალ გაზეთებიდან.)

თბილისი. კონსერვატორია თბილისში. განზრახულია, ადგილობრივი სამუსიკო სასწავლებელი კონსერვატორიად გადაკეთდეს.

— თბილისის სახელმწიფო ბანკის კანტორას 10-18 იანვრამდე უკანასკნელ სახელმწიფო სესხიდან გაუნაღდებია 337, 650 მ., გამნაღდებელთა რიცხვი უდრის 505 ს, დღემდი სულ გაუნაღდებია კანტორას 10, 849, 650 მან.,

— ხელოვანთა საზოგადოების გადაწყვეტილებით სამღვდელო პირთ მინიჭებული აქვთ უფლება, დაათვალიერონ გამოფენა უფასოთ, ხოლო მიუხედავათ ასეთის უპირატესობისა სამღვდელო პირთაგან ორი-სამის მეტს ჯერ არვის დაუთვალიერებია გამოფენა.

— **ბათომი.** ბათომის დრამატიული საზოგადოების გამგეობა სთხოვს ქუთაისისას დახმარება აღმოუჩინოს ავათმყოფ მსახიობს ვალ. შალიკაშვილს.

— **ფოთი.** ქალაქის გამგეობამ შეადგინა ხარჯთ აღრიცხვა 1917 წ., რომელიც უდრის 712, 009 მანეთსა და 49 კ. საბჭომ დაადგინა: მოსამსახურეთ გაუდიდონ ჯამაგირები 75 პროც., იმათ, ვინც თვიურად 50 მ. ღებულობენ, ვინც წლიურად 600-იდან 1200 მანეთამდე ღებულობს — 40 პროც. ხოლო ვინც 1200 მანეთს ზევით ღებულობს 1800 მანეთამდე — 30 პროც., გარდა მთავარ ბუღალტერისა და გამგეობის მდივნისა, რომელნიც 1500 მანეთს ღებულობენ, ამათ წლიურად უნდა მიეცეთ 2100 მანეთი თითოს. ამავე დროს საბჭომ დაადგინა ხელ ახლა შეფასდეს ქალაქ ფოთის უძრავი ქონებანი, 1908 წელს შეფასებულნი.

— ფინანსთა სამინისტრომ სესხად მისცა ფოთის ქალაქის თვითმართველობას 87, 177 მანეთი, 1617 წლის დეფიციტის შესავსებათ. ამ დეფიციტის მიზეზია ის გარემოება, რომ ომის გამო გადასახადების აკრეფა თითქმის შეუძლებელი შეიქმნა. ამ სესხის გადახდა ქალაქს შეუძლია ომის გათავებიდან 10 წლის განმავლობაში.

— **თელავი.** ამ დღეებში კახეთის კავშირმა მიიღო 2 ვაგონი დამტვრეული შაქარი, აქედან როგორც გავიგეთ, 16 ტომარა მომხმარებელ საზოგადოებისთვის მიუციათ, დანარჩენი დაურიგებიათ სოფლების შემ. გამ. ამხანაგობებისთვის.

— აქაური ყასბებში კაი ხანია აღარ იშოვება თხისა, ცხვრისა და ძროხის ხორცი. სამაგიეროთ იყიდება: ღორის ხორცი გირ. 60 კაპ. ბურვაკისა 80 კ. და კამეჩის ძროხის ხორცის სახელით 60 კაპ. ნამდვილი ძროხა რომ დაკლან, აღარ ვიცით რა ფასსდაადებენ.

— **ოზურგეთი** 29 იანვარს „ოზურგეთის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება“ მართავს საღამოს, რომლის წმინდა შემოსავალით დახმარებას აღმოუჩენენ ოზურგეთის სასწავლებლის ყველა ღარიბ მოწაფეთ.

— დიდი ხნის შემდეგ ველირსეთ შაქარს, სამაგიეროდ პურის კრიზისი უმაღლესს წერტილამდის აღწევს, უწინ შავი პური მაინც იშოვებოდა, დღეს ისიც არ იშოვება.

— ამ ჟამათ სიმინდის ფქვილი 4 მანეთად იყიდება ფუთი. სოფლებიდან შემოტანილი სანოვაგეც ძალაზე გაძვირდა.

— **ლანჩხუთი.** წმ ნინოს დღესასწაული დიდის ამბით გადავიხადეთ.

— **ხონი.** 14 იანვარს ადგ. სავაჟო გიმნაზიის შენობაში გაიმართა ილიას საღამო. საღამოს ხალხი დიდ ძალი დაესწრო. საღამოც შინაარსიანი გამოდგა.

— პურის კრიზისი კვლავ გრძელდება, კოოპერატივს ჯერ-ჯერობით ფქვილი არ მიუღია.

— აქაურ შემნახველ-გამსესხებელმა ამხანაგობამ მიიღო ერთი ვაგონი შაქარი.

პირველი კოცნა.

სურათის ნაფლეთი.

ზაფხულის გრილი საღამო იყო... ბუნებას თავისი ლამაზი, გულ მკერდი გადაეშალა და საამბოროდ იწვევდა თავის რაინდს ცელქ სიოს... სოფლის შარა გზაზედ მოისმოდა სევდიანი სიმღერა სახლისკენ მიმავალი მეურმისა... რომელსაც ბანს აძლევდა ჩუმათ მოდუდუნე მტკვარი.. იმდენად მომხიბლავი და წარმტაცი იყო ეს შეერთებული ნაღვლიანი აკორდი, რომ თვით ფრინველთა მეფეს ენა დაჰბმოდა და განაბული ყურს უგდებდა სევდიან ჰანგებს... რომელიც გლოვის ზარივით ევლინებოდა მთელს მიდამოს...

სოფლის დასაწყისში, მდგარ ერთ ჟამთა ვითარებისაგან დაბავსებულ ნიგვზის ხის ძირში, იდგნენ ორი შეყვარებულნი...

ვაჟს, ქალის კალთაში თავი ჩაედო, ცის ერთ წერტილს მისჩერებოდა და ოცნების სამეფოში ფრინავდა, ქალი კი თავის ნაზი თითებით ქოჩორს უვარცხნიდა და ნაღვლიანად დაჰყურებდა თავის სატრფოს...

დიდხანს იყვნენ ორთავენი ასე მდუმარედ. ქალმა ვეღარ გაუძლო გულის ძგერას და მყუდროება დაარღვია...

—ტიტო!-რას გაჩუმებულხარ, მითხრი რამე.

— რა უნდა გითხრა?..—ნაღვლიანად წარმოსთქვა ვაჟმა.

— გრცხვენოდეს ტიტო, განა აღარაფერი გაქვს ჩემთან სათქმელი?

— მიყვარხარ...—კვლავ ნაღვლიანათ წამოსთქვა ვაჟმა და თან წამოჯდა.

— მეც... მეც. . —იყო პასუხი ქალისა -- შენც?!.

— გიყვარს?! გრცხვენოდეს... გრცხვენოეს...—და ქალი გულ ამოსკვნით აქვითინდა

— ნუ.. სტირი... შენ გიყვარვარ ვიცი. მაგრამ მე მივდივარ შორს... შორს .. ბრძოლის ველზედ... და ვინ იცის რა მომელის.. შენ კი.. აქ... არ ვიცი...

— ტიტო... მაგას ნუ მეტყვი... მოთხარი რითი დავიმტკიცო ჩემი სიყვარული.. მზათ ვარ მსხვერპლი გავხდე...

— ლიაბ.. რომ მრწამდეს არ მღალატებ.. და ყოველთვის ჩემი იქნები... უნდა მაჩუქო მე. პირველი კოცნა...

— ტიტო .. მაგას რას ამბობ?... ეგ შეუძლებელია... ნუ მთხოვ იმას, რაც არ ძალმიძს... გევედრები...

— ძალას არ გატან.. მე მინდა განმტკიცება სიყვარულისა არ ძალგის .. მაშ ვერც დაიცავ ჩემ სიყვარულსა... მშვიდობით. .

ვაჟი წამოდგა და წასვლა დააპირა... ქალი კი გულამოსკვნით ქვითინებდა... იგი უეცრივ წამოდგა და ვაჟს მოეხვია.

მიყვარხარ.. მიყვარხარ... მეც... მეც...

—და ამ სიტყვებთან ერთად ჰაერში გაისმა კოცნა პირველი სიყვარულისა... რის მოწმეც იყო ძველი ნიგვზის ბუმბერაზი ხე და მინდორში მოსისინე ცელქი სიო...

ვანო სააკაშვილი.

პროვინციის ცხოვრება.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

გურია. სწავლისადმი წყურვილი გაორკეცდა, ამ ომის განმავლობაში მრავალ ადგილას უმაღლესი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი გაიხსნა; მრავალ ადგილას კი განაჩენი გამოიტანეს და სამოსწავლო მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს სკოლების დაარსების ნებართვის შესახებ. სწავლა დღეს მათთვის საყოველთაო და სავალდებულო გახდა; თუმცა ეს ვალდებულობა, რასაკვირველია, არ გამომდინარეობს ვინმეს ძალდატანებისაგან და არც არავითარი დახმარება ეძლევა ხალხს ამ საქმისათვის გარედან. გარეშე ძალამ სრულებით არ იზრუნა საყოველთაო სწავლა-განათლების შემოღებაზე; გურიის გლეხობამ კი თავისით ბუნებრივათ სავალდებულოთ გაიხადეს ერთ-ერთი მუხლი დემოკრატიის მოთხოვნილებისა და შეძლებისა-დაგვარათ მიჰყავთ სისრულეში.

ს. საჭილაო. (სენაკის მაზრა). 4 იანვარს ბ-ნ მაზრის უფროსს დაუბარებია ყველა ამ საზოგადოების ოფისთავები სამაზრო ქალაქ სენაკს 25 ვერსტის სიშორეზე და იქ მოუხდენია მათი კრება სოფლის საქმეების გამოსარკვევათ. უპირველეს ყოვლისა ამ კრებაზე მას გამოუძიებია ამ საზოგადოების მოხელეთა მიერ ფულების გაფლანგვის საქმე, რომლის ცნობა იყო მოთავსებული გაზეთ „თან. აზრის“ 257 №-ში, ამისათვის ბ-ნი მაზრის უფროსი დაკითხვია ოფისთავებს: მართალია თუ არა გაზეთში მოთავსებული ცნობა, რომ თქვენი საზოგადოების ფული მოხელეებს გაუფლანგავთ. ბ-ნ მაზრის უფროსს ძალიან ეწყინა უსამართლობის მხილება.

რუსეთი

დეპუტატებს: ჩხეიძესა და სკობელევს თ-დ გოლიცინისა და პროტოპოპოვისათვის განუცხადებიათ: ნადეპუტატარი პეტროვსკი, რომელიც ამ ჟამად ციმბირში იმყოფება, ძალიან ავად არის და საჭიროა მისი სამხრეთისაკენ გადაყვანაო.

— ცნობილი სპეკულიანტი რუბინ შტეინი იუსტიციის მინისტრის განკარგულებით დაუპატიმრებიათ. დობროვოლსკის ბრძანება გაუცია, რომ რუბინ—შტეინის საქმე სამხედრო საოლქო სასამართლოში გაირჩეს:

— 14 იანვარს ცნობილ მარკოვ II ის ბინაზე მოსკოვისა, ხარკოვისა და ოდესის მემარჯვენეთა ყრილობა მოხდა, რომელზედაც დიდი ოვაცია გაუმართეს თავის მასპინძელს სათათბიროში როძიანკოს წინააღმდეგ „ვაჟკაცურ გამოსვლისათვის“. მარკოვს უპასუხნია: მე მხოლოდ ჩემი მოვალეობა ავასრულეო.

— სათათბიროს საბიუჯეტო კომისიის სხდომები 18 იანვარს უნდა დაწყებულიყო. განსახილველი იყო სამხედრო და საზღვაო სამინისტროების ხარჯთ აღრიცხვა. პირველ კრებაზე განხილული იქნება პოლიტიკური ხასიათის განცხადებანი.

— პროტოპოპოვი ცარსკოე სელოში გამგზავრებულა.

— პროტოპოპოვი განაგრძობს სხვა და სხვა პროექტების შედგენას; წინადადება მიუცია მინისტრთა საბჭოსათვის ცალკე დაწესებულებად გადააქციონ ფოსტა ტელეგრაფის მართვა გამგებლობა. ამას გარდა პროტოპოპოვს უმჯობესად უცვნია, რომ სასურსათო საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს გადასცენ.

— რუბინშტეინის საქმის ხელმეორედ განხილვის დროს სხვა ბოროტმოქმედებანი აღმოჩნდა. ამის გამო რამდენიმე პირი კიდევ დაუპატიმრებიათ.

უცხოეთი.

ესპანეთის მეფე სიკვდილს გადარჩა. თურმე შეთქმულება მოუდგენია მეფე ალფონსის წინააღმდეგ როგორც ირკვევა, ეს საქმე ანარქისტების მოწყობილი ყოფილა. გერმანელთა აგენტებს შეთქმულთათვის დიდი დახმარება გაუწევიათ

— ავსტრიაში ჩეხელთა წინააღმდეგ რეპრესიები და მათი დევნა განაახლეს. განსაკუთრებით აფრთხობს ავსტრიის მთავრობას წითელ-ლურჯ—თეთრი ფერი. ეს ფერი საერთოდ სლავიანთა დროშად სცნეს და სადაც კი დაინახვენ ამ ფერად შეღებულ „ჟილეტკებს“ თუ და სხვა რამეს, სხვა ფერით აღებინებენ და თუ ვინმემ ურჩობა გამოიჩინა, სჯიან.

— თებერვალში გაიხსნება რეიხსრატი, რომლის პირველ სხდომაზევე ავსტრიის პრემიერი კლამ-მარტინაცი დეკლარაციას წაიკითხავს. აქ გახსენებული არ იქნება სრულებით პოლონეთის საკითხი.

— პოლონური პრესის ბიუროს ცნობით პოლონეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა დღეს ცნობილი მწერალი ჰენრიხ სენკევიჩი მოუწამლავთ.

— ვენის ყავახანებში და რესტორანებში ყავისა და შაქრის გაყიდვა აუკრძალავთ. შაქრის მაგივრად ჩაიზე სახარინსა ხმარობენ.

— საფრანგეთში. დიდი უბედურება დატრიალებულა იქ არა ჩვეულებრივ ყინვები დაუჭერია, ხალხი განსაკუთრებით, ღარიბ-ღატაკნი, სრულიად მოუმზადებელი დახვდა ამ მოვლენას და სიცივით იხოცება.

— ვენაში და ბუდაპეშტში პოლიციის ნებართვით ქალთა მიტინგი გაიმართა, რომელზედაც დაადგინეს: სამადლობელო ადრესი გაუგზავნონ ვილსონს და ყველა მებრძოლ სახელმწიფოთა ქალებს მიმართონ წინადადებით, რათა იმათაც მოითხოვონ მალე ზავის ჩამოგდება.

— კაიზერ ვილჰელმს დაძველებულად უცვნია პრუსიის წესწყობილება და ორ უმაღლეს მოხელესათვის დაუვალებია, მათ შეიმუშავონ დროის შესაფერი წესწყობილება და დაწვრილებით აღნიშნონ, თუ რა და რა რეფორმა იქნება საჭირო ამ ხანად. ამ მოხელეებისათვის ნება მიუცია კაიზერს სრულიად დამოუკიდებლად იმოქმედონ და თუ საჭირო იქნება თანაშემწენიც მოიწვიონ, იმის განურჩევლად, თუ უკანასკნელნი რომელ პარტიას თანაუგრძნობენ.

— ლონდონში ინგლისის მუშათა ყრილობა მოხდა, ყრილობამ 1,498,000 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 696,000 ისა უარჰყო ის წინადადება, რომ ინგლისელ მუშებს საერთაშორისო სოციალისტურ კავშირებისათვის მიემართათ საზავო პირობების განხილვაში მონაწილეობის მისაღებათ.

წერილი რედაქციის მიმართ.

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ღრმისი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და ჩემს მიერ რწმუნებულ სადემეტრიოს ღვთის-მშობლის ეკლესიას შემოსწირეს ფული ამავე ეკლესიის განამშვენიერებლათ. კალისტინა ექვთიმე ქარჩხაძის ასულმა 24 მან. ვარვამ კასტოს ძე გძელიძის დედამ, დოდო დაზარეს ასულმა 7 მ. სავანელ ათანას ძე ნეფარიშვილმა 3 მ. 60 კ. ვასილ ივანეს ძე მარგველაშვილმა 1 მ. 20 კ.

სულ 37 მ. 80 კ.

მღ. ნიკოლოზ პირაძაძე.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“

რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის —	7 ს. 25 წ.
„	— საღამ. —	8 ს. 50 „
ბათომიდან	— დღისით —	12 ს. 40 „
„	— ღამის —	2 ს. 20 „
ფოთიდან	— დილის —	10 ს. 26 „
ტყიბულიდან	— საღამოს —	7 ს. 00 „
შორაპნიდან	— დილის —	9 ს. 24 „

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის —	11 ს. — „
„	— ღამის —	12 ს. 15 „
ბათომისაკენ	— საღამოს —	7 ს. 3 „
„	— დილის —	5 ს. 56 „
ფოთისაკენ	— დღისით —	4 ს. „
ტყიბულისკენ	— დილის —	8 ს. 13 „
შორაპნისაკენ	— დღით —	5 ს. 18 „

დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.

ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცნენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

გრანული ექ. გლეზისა.

გრანული ექ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის ქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის. **გრანული** ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ —სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და ანახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრანული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას. **გრანული** ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

გრანული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **ა. შავერზაშვილს** საფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი ყუთისა—6 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ. გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მძლავანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საჭმ ო დღეში ორჯერ რომ მიიღოს ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრ-გვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში. (წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული**. ქ. ოდესა.